

# საქართველი ზაფხუმი

სუკრათეპიანი დამატება

გაზეთის № 432. კვირა, 23 ოქტომბერი 1911 წ. დამატების № 76

## ჩინეთის რევოლუცია



ექიმი ხუნ-იან-ძენი, ჩინეთის რევოლუციონერთა მოთავე.



გენერალი იუან-შუ-კაი, რომელსაც მთავრობამ რევოლუციონერებთან ბრძოლა მიანო.

## ზღვის პირად

I.

მიწარე ზღვისა, ფართო გაშლილ, ქავლთა ლივლივში,  
იქსოვებოდა ნელი ჰანგი მთის ნივისა,  
და ნაპირიდან მის სივრცეში თვალს ვაღვენებდი,  
ვით ირხეოდა თეთრი აფრა ფიქრთა ნავისა..

შორს, მთების იქით, გადაფენილ ცის დასავალსა  
ჩამავალ მზისა სუსტი სხავი თრთოლვით ამკობდა;  
და მკრთალი ზოლი, ჩაფენილი ზღვისა წიადში,  
ცისა უხილავ საიდუმლოს დაპარაკობდა!

ყურსა ვუგდებდი ბუნებისა იდუმალ ზღაპარს,  
მაგრამ იმ ხმებში ქვეყნიურსა ვერარას ვგრძნობდი;  
მე,—მიწის შვილსა—ზეცაშია რა ხელი მქონდა?  
და მწარე ტანჯვით კვლავ სოფლიურს ტანჯვას ვეძებდი!..

II.

მძაფრმა გრიგალმა ცივ ზუზუნით დაჰქროლა მთა-ბარს,  
და შმაგის ფრთებით გადესერა მშვიდი ზღვის გული,

გამოაღვიდა ტალღა, ბრძოლის წინამორბედი,  
ჯადოსნურ ძალით ფიქრთა ფსკერზე მიძინებულნი...

ზეირთი ზეირთს გაჰყვა, აქოჩრილი, ფაფარ აყრილი,  
შავს კიდეს მოჰხვდა და სივრცეში კვლავ გაიზმორა;  
და მის გრგვინვის ხმა, ქარისაგან ამოტანილი,  
ჩამოქრულულმა მაღალმა მთამ გაიმეორა.

ვიდექ კიდევ... ყურს ვუგდებდი ტალღების ქროლვას,  
და მათ ქუხილში მომესმოდა მკვეთრი ბრძოლის ხმა,—  
ოჰ, ვიცან მათში ქვეყნიური გამოჯახილიც  
და იმ ნეტარ ხმებს დავუძონე ჩემი გულის თქმა!..

ს. ფაშალიშვილი.





თავადი-რეგენტი, ორის ვაჟით. ფეხზე სდგას ჩინეთის 5 წლის იმპერატორი პუ-ი.

# სოცხალი გვაგი

დრამა 6 მოქმედებად და 12 სურათად

ლ. ნ. ბოლსტოვისა.

(შემდეგი \*)

მოქმედება მეორე.

სურათი პირველი.

პირველ მოქმედების შემდეგ გავიდა ორი კვირა. ლიზასთან არიან კარენინი და ანა პავლენა, რომლებიც სასადილო ოთახში სხედან. შემოდის საშა.

გ ა მ ა ხ ვ ლ ა I.

კარენ. როგორაა საქმე?

საშა. ექიმმა, — საწიში აღაფერიაო. მხოლოდ არ უნდა გაცივდეს.

ანა პავლ. ლიზას კი თავისი დამართა და!

საშა. ის ამბობს, რომ ეგ ჩუტყვაილა იყო მსუბუქი ძალიანო. (უხვევებს კაღთაზე). — ეს რაა?

ანა პავლ. ეს ყურძენია, ვიქტორმა მოუტანა.

კარენ. არა გნებავთ?

ანა პავლ. კი, უყვარს. მაგას ძალიან ნერვები აეშალა.

კარენ. მაშ რა იქნება, ორი დამის უძილო და უსმელ-უქმელია.

საშა. (დიმიდით). — თქვენც კი...

კარენ. ჩემი საქმე სხვაა.

გ ა მ ა ხ ვ ლ ა II.

ივინივე. შემოდინ ექიმი და ლიზა.

ექიმი. (დიხსეუდად). — ღიახ, ღიახ. თუ კი არა სძინავს, ყოველ ნახევარ საათში გამოუცვალეთ ხოლმე. თუ სძინავს — ნუ შეაწუხებთ. ხახაში წასმა საჭირო არ არის. ოთახის სიბო მაგ ზომისავე იყოს...

ლიზა. თუ კიდევ სული შეგებუთა.

ექიმი. არა მგონია. ამას გარდა, პარაშოკები, ერთი დილით, ერთი საღამოთი. მე ეხლავ გამოვიწერთ.

\*) იხ. სურათებიანი დამატება, № 75.

ანა პავლ. ექიმო, ჩაის ხომ არ ანებებთ?

ექიმი. არა, გმადლობთ, ავადყოფები მელოდებიან (მაგადას მიუჯდება).

(საშას მოაქვს ქაღალდი და მუჯანი).

ლიზა. მაშ ეგ ხუნაგი არ არის?

ექიმი. (დიმიდებ). — სრული ჭეშმარიტება გახლავთ (სწევს).

კარენ. (აიხს). — აბა, ახლა კი მიირთვით ჩაი, ან, უმჯობესია, წადით და დაისვენეთ, თორემ, აბა შეხედეთ, რას დაემგზავსეთ.

ლიზა. ეხლა გამოვცოცხლდი. თქვენი მადლობელი ვარ. აი ჭეშმარიტი მეგობარი! (მაგადას ხელს ათმეებს).

(საშა გულმოსუჯი კატრიადდება).

ლიზა. გმადლოთ, ჩემო მეგობარო. აი, სადაა ძვირ...

კარენ. საიბისო არა გამიკეთებია! მადლობას სრულიად დაუმსახურებლად მიხდით.

ლიზა. ვინ გაატარა უძილო ღამეები? ვინ მოიყვანა ეს დილად შესანიშნავი ექიმი?

კარენ. მე ისედაც დაჯილდოვებული ვარ იმითი, რომ მიკა ეხლა ხიფათს გადარჩა და, უმთავრესად კი თქვენის გულკეთილობით.

ლიზა. (უმად ხელს ათმეებს და, აზვენებს და მეორე მუჯაში ფუქს, იცინის). — ეს ექიმისთვისაა, — მხოლოდ ვერ მომიხერხებია, როგორ უნდა მივცე.

კარენ. არც მე შემძლიან.

ანა პავლ. რა არ შეგიძლიან?

ლიზა. ექიმისთვის ფულის მიცემა. იმან გადამირჩინა სიცოცხლეზე უძვირფასესი და მე კი ფული უნდა შევძლიო! ეს თითქოს რაღაც უსიამოვნო რამაა.

ანა პავლ. აქ მომეცი, მე მივცემ. მე ვაცო, როგორც უნდა. სულ უბრალოდ.

ექიმი. (დგება და აწოდებს რეცეპტს). — მაშ ასე, ეს პარაშოკები სტოლის კოვზით, ნადულ წყალში კარგად გასხენით (კანაგრობს)... (კარენინი შავიდასთან ჩაის სვამს. წინ წადგებიან ანა პავლენა და საშა).

საშა. არ შემძლიან ვუყურო იმათ საქციელს. ლიზა თითქოს შეყვარებულიაო.

ანა პავლ. რა არის მერმე გასაკვირველი?


საშა. საზიზრობაა!

(ექიმი ეთხოვება ვუქვას და მიდის. ანა პავლენა კანდიდილებს).


გ ა მ ა ხ ვ ლ ა III.

ლიზა კარენინი და საშა.

ლიზა (კარენინს). — ეხლა ის ისეთი ტურფაა. როგორც კი ცოტათი უკეთესად შეიქმნა, მაშინათვე ღიმილით დაიწყო ტიტინი. მე იმასთან წავალ, მაგრამ არც თქვენგან მინდა განშორება.



ტფილისის მშენებლობის გამოფენაზე ა. ი. ფურცელაძის ნამუშებო.



ტფილისის მებაღეობის გამოფენაზე, დ. რ. მაჭავარიანის ნიმუშები.

**კარენ.** თქვენ ჯერ ჩაი დალიეთ, დანაყრდით.  
**ლიზა.** მე ეხლა არაფერი მინდა. ისე კარგადა ვგრძნობ თავს. განოვლილ შიშის შემდეგ (სჯუგუნებს).  
**კარენ.** ხომ ჰხედავთ, როგორ სუსტათა ხართ.  
**ლიზა.** მე ეხლა ბედნიერი ვარ. ხომ არ გინდათ თქვენც ნახოთ?  
**კარენ.** რაღა თქმა უნდა.  
**ლიზა.** წამომყევით (გადას).

გ ა მ ო ხ ვ ლ ა IV.

**ანნა პავლ.** (ბრუნდება სასასთან).  
**ანნა პავლ.** რას მოქუშულხარ? მშვენიერად მოვეცი და იმანაც აიღო.  
**საშა.** საზიზღრობა! ბავშვების ოთახში გაიყოლა. თითქოს ის დანიშნული იყოს, ან ქმარი.  
**ანნა პავლ.** მერე, შენ რაო? შენ რა გაკაპსებს? იქნება შენ აპირებდი მითხოვებას?  
**საშა.** მე?! მაგ აყლაყუდას?! ვამჯობინებდი, არ ვიცი ვის გავყოლოდი, მხოლოდ მაგას კი არა. ფიქრადაც არ მომსვლია. მე მხოლოდ მეზიზღება, რომ ლიზას, ფედისა შემდეგ, კიდევ შეუძლიან სხვა კაცთან დაახლოვება.  
**ანნა პავლ.** მერე ის რა უცხოა, —სიყრმიდანვე მეგობარია.  
**საშა.** კარგი, მაგრამ იმათ ღიმილზე და თვალეზე ატყობ, რომ შეყვარებულნი არიან.  
**ანნა პავლ.** მერე აქ რაა გასაკვირველი? კაცმა ბავშვის ავადმყოფობაში თანაგრძნობა გაუწია, ეხმარებოდა და ლიზაც მადლობელია. და ესეც რომ არ იყოს, ვითომ რა არის, რომ კიდევაც შეიყვაროს და მისთხოვდეს ვიქტორს?  
**საშა.** ეგ საშინელეა იქნებოდა, საზიზღრობა! საზიზღრობა!

გ ა მ ო ხ ვ ლ ა V.

**კარენინი და ლიზა** შემოდინ. **კარენინი** უსიტყვოთ ეთხოვება.  
**საშა.** (გაჭყვრებული გადის).

სურათი მეორე.

აფრემოვის კაბინეტში. ღვინით სავსე ჭიქები. ტუშპრები.

გ ა მ ო ხ ვ ლ ა I.

**აფრემოვი, ფედია, სტახოვი** (ბანჯდუღიანი), **ბუტკევიჩი** (გაპარსული), **კარატკოვი** (მუტიანა).  
**კარატკოვი.** მე თქვენ გეუბნებით, რომ უკან ჩამორჩება. ლა-ბელ-ბუა—პირველია ევროპაში. დამენაძლიეთ!

**სტახ.** კარგი, ძმობილო. შენც კარგად იცი, რომ არავინ დაგიჯერებს და არც არავინ დაგენაძლიევა.  
**კარატ.** მე შენ გეუბნები: შენი კარტუში გაირიყება.  
**აფრემოვი.** კმარა ჩხუბი. მე თქვენ შევარიგებთ. ჰკითხეთ ფედისა, ის გეუყვით მართალს.  
**ფედია.** ორივე ცხენი კარგია. საქმე შეჯინიბზეა.  
**სტახ.** გუსევი უსინიღისოა. იმის ხელში დაქერაა საქირო.  
**კარატ.** (ფეიდას).—არა!  
**ფედია.** დამაცალეთ, მე თქვენ მოვარიგებთ. დერბი ვინ აიღო?  
**კარატ.** აიღო, მაგრამ არაფერი კი ღირს. ეგ შემთხვევაა. აბა კრაკუსი ავად არ გამხდარიყო. შეხედე... (შემოდის ლაქია).

გ ა მ ო ხ ვ ლ ა II.

ივინიე და ლაქია.

**აფრემოვი.** რა გინდა?  
**ლაქია.** ერთი ქალბატონი ვიხილეთ და ფეოდორ ვასილევინის კითხულობს.  
**აფრემ.** ვინაა?  
**ლაქია.** რა მოგახსენოთ. მხოლოდ ქალბატონია.  
**აფრემოვი.** ფედია, შენთან ქალი მოსულა.  
**ფედია.** (შეშკრთალი).—ნეტა ვინაა?  
**აფრემოვი.** არ იცის.  
**ლაქია.** ვსთხოვო დარბაზში?  
**ფედია.** მოიცა, მე წავალ და ვნახავ (აუღიან და ლაქია გადას).

გ ა მ ო ხ ვ ლ ა III.

ივინიე, ფედის და ლაქიას კარდა.

**კარატკოვი.** ნეტა ვინ იქმნება მაგასთან? ალბად მაშკაა.  
**სტახ.** რომელი მაშკა?  
**კარატ.** ბოშა მაშა. ეგ უყვარს, როგორც კატას ისე შეუყვარდა!  
**სტახ.** რა ლამაზია! კარგადაც მღერის..  
**აფრემოვი.** მშვენიერია! ტანიუშა და ის. გუშინ ისინი პეტრესთან ერთად მღეროდნენ...  
**სტახ.** წარმოიდგინე რა ბედნიერია ეს!  
**აფრემოვი.** იმიტომ, რომ ქალებს უყვართ? ღმერთმა ხელი მოუშარათო.  
**კარატ.** მეჯავრებიან ბოშის ქალები, —არავითარი სიკეკლუცე არ არის მათში.  
**ბუტკევიჩი.** მაგას ნუ იტყვი.  
**კარატ.** მე ყველა მაგათ ერთ ფრანგის ქალში გავცვლი.  
**აფრემოვი.** ხო, შენ ცნობილი ესტეტი ხარ. აბა, წავიდე, ვნახო, ნეტა ვინ არის (გადას).



ტფილისის მებაღეობის გამოფენაზე, ს. ა. ქარუმიძის ნიმუშები.

გ ა მ თ ხ ვ ლ ა IV.

ივინივე აფრემოვის კარდა.

**სტახ.** თუ მაშა აქ მოიყვამ, ვამდეროთ. არა, ეხლა ბოშე-ბი ისეთები აღარ არიან! ოხ, რა იყო ტანიუშა!

**ბუტკ.** მე კი ვფიქრობ, რომ ერთი და იგივე.

**სტახ.** როგორ თუ ერთი და იგივე, როდესაც ეხლა გარყვნილი რომანსებია სიმდერის მაგიერ.

**ბუტკ.** რომანსებიც არის კარგი.

**კარატ.** დამენაძლიე, ვამდერო და შენ ვერც კი გაიგო სიმდერაა, თუ რომანსი.

**სტახ.** კარატკოვი ხომ სულ ერთთავად სანაძლეო და სანაძლეოს გაიძახის.

გ ა მ თ ხ ვ ლ ა V.

ივინივე და აფრემოვი.

**აფრემოვი.** (შემოდის).—ბატონებო, ის მაშო არ არის. და თუ არ აქ, სხვა ადგილი არ არის იმის მისაღებად. ჩვენ წავიდეთ საბილიარდო ოთახში, წავიდეთ. (გადას).

გ ა მ თ ხ ვ ლ ა VI.

შემოდის ფედია და საშა.

**საშა** (დარცხვენით).—ფედია, მაპატიეთ, თუ თქვენთვის ეს უსიამოვნო იქნება, მაგრამ, თუ ღმერთი გწამთ, მომისმინეთ (სმა უკანკალებს).

(ფედია ოთახში ბოჯთას სცემს. საშა დაჯდება და შესტკეპის).

**საშა.** ფედია, დაბრუნდი სახლში.

**ფედია.** ყური დამიგდე, საშა, მე მესმის შენი სურვილი. შენს ადგილას მეც მაგრე მოვიტყუოდი: ვეცდებოდი, როგორმე ყოველივე ძველ კალაპოტში ჩამეყენებინა; მაგრამ ჩემს ადგილას კი,—თუ კი შენ, გულმახვილი, ტურფა გოგონა ხარ—მიხვდები, და ისევე მოიტყუოდი, როგორც მე, ე. ი. გაეცლებოდი და სხვის ცხოვრებას ხელს არ შეუშლიდი.

**საშა.** როგორ, თუ შეუშლიდი? განა ლიზას უშენოდ სიცოცხლე შეუძლიან?

**ფედია.** ოხ, ჩემო ტურფა მტრედო, საშა, შეუძლიან და ბედნიერიც იქნება, მეტად ბედნიერი, ვიდრე ჩემთან არის.

**საშა.** არას დროს!

**ფედია.** შენ ეგრე გგონია (ხელს დაუჭერს). საქმე ეგ არ არის. საქმე ის არის, რომ მე არ შემოძლიან. ხომ იცი, სქელი ქალაღი რომ ხან ერთ მხარეზე ჰკეცო, ხან მეორეზე. შეგიძლიან ეს კეცვა ასამდე გაიმეორო, მაგრამ მე ას პირველჯერ რომ გადაჰკეცავ, ერთი ნაწილი მეორეს განშორდება. ეგრეთვე განწყობილებია ჩემსა და ლიზას შორის. ძალიან ძნელია ჩემთვის, რომ იმას თვალეში ვუყურო და აგრეთვე იმისთვისაც, მერწმუნე.

**საშა.** არა, არა.

**ფედია.** ამბობ, რომ არა, მაგრამ იცი კი, რომ ეგრეა.

**საშა.** მე შემოძლიან მხოლოდ ჩემით გავსაჯო. მე რომ იმის ადგილას ვყოფილიყავი და შენ რომ ისე გეპასუხნა, რასაც ეხლა ამბობ, ჩემთვის საშინელება იქნებოდა.

**ფედია.** ხო, შენთვის... (განუშდება; ორივე შეტყუვნილია).

**საშა** (ადგება).—მაშ, ნუ თუ ასე უნდა იყოს?

**ფედია.** ეტყობა—რომ...

**საშა.** ფედია, დაბრუნდი!

**ფედია.** გმადლობ ჩემო ტურფა საშა, შენ ყოველთვის იქნები ჩემთვის ძვირფას მოსაკონებლად... მაგრამ მშვიდობით, ჩემო მტრედო! მოდი გაკოცო (შუბლზე ჰკოცნის).

**საშა** (ადეჯგებუდი).—არა, მე შენ არ გეთხოვები და არც მეგრა, არც მინდა დავიჯერო... ფედია...

**ფედია.** მაშ, ყური დამიგდე. მაგრამ სიტყვა მომე, რომ რასაც გეტყვი, არავის გადასცემ. სიტყვას მაძლევი?

**საშა.** რა თქმა უნდა.

**ფედია.** მაშ, მომისმინე, საშა. მართალია, მე ქმარი ვარ, მამა იმისი შვილისა, მაგრამ მე—მეტი ვარ... მოიცა, მოიცა, პასუხს ნუ მაძლევი. შენ გგონია მე ვიქვიანობ? სრულებითაც არა. ჯერ ერთი, უფლება არა მაქვს; მეორე არც საბუთი მაქვს. ვიქტორ კარენინი—ძველი მეგობარია იმისი და ჩემიც. იმასაც უყვარს ლიზა და ლიზასაც უყვარს ის.

**საშა.** არა.

**ფედია.** უყვარს, როგორც შეუძლიან შეიყვაროს პატიოსან, ზნეობიან დედაკაცს, რომელიც თავს ნებას არ მისცემს ქმრის გარდა სხვა ვინმე შეიყვაროს. მაგრამ ლიზას უყვარს და მეტად ეყვარება, როცა ეს დაბრკოლება (თავის თავზე უწვენებს) ჩამოშორებული იქნება და მე ვაშორებ კიდევ. ამით ისინი გაბედნიერდებიან (სმა უკანკალებს).

**საშა.** ფედია, მაგრე ნუ ლაპარაკობ.

**ფედია.** შენც ხომ იცი, რომ ეს მართალია, მეც მოხარული ვიქნები იმათი ბედნიერებით და ამაზე უკეთესს ვერაფერს ჩავიდენ... არ დავბრუნდები და იმათ თავისუფლებას მივანიჭებ... და ესეც უთხარი. არა ნუ ეტყვი, ნუ ეტყვი... მშვიდობით! (თავზე ჰკოცნის და კარებს უდებს).

**საშა.** ფედია, მე აღტაცებაში მოვდივარ შენით.

**ფედია.** მშვიდობით, მშვიდობით!.. (საშა მიდის).

გ ა მ თ ხ ვ ლ ა VII.

ფედია მარტა.

**ფედია.** დიახ, დიახ... ჩინებულა, საუცხოვოა... (ზარს რეკავს).

გ ა მ თ ხ ვ ლ ა VIII.

ფედია და ჯაქია.

**ფედია.** ბატონს დაუძახე.

გ ა მ თ ხ ვ ლ ა IX.

ფედია მარტა.

**ფედია.** მართალიცაა, მართალია...

გ ა მ თ ხ ვ ლ ა X.

შემოდის აფრემოვი.

**ფედია.** წავიდეთ.

**აფრემოვი.** საქმე როგორ მოაწყე?

**ფედია.** დიდებულად! „ირწმუნებოდა და იფიცებოდა“. დიდებულად! ისინი სად არიან?

**აფრემოვი.** იქ არიან, თამაშობენ.

**ფედია.** ძალიან კარგია, წავიდეთ და ჩვენც დავყოთ იქ ერთი საათი!

ფ ა რ დ ა.

(შემდგვი იქნება)

გ. ახალციხელი.

